№ 13. 20 იანვარი, სამშაბათი. 1866—1881 წ. 20 იანვარი, სამშაბათი. № 13

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ს, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ამ მოკლე ხანში იხსნება

სადაც გაისყიდება ყოველ გვარი ბოსტნეულისა და წვანილეულის თესლები.

დეპო იმყოფება შადინოვის ქარვასლაში, ბაზახანაში, № 19.

ქალაქს გარეშე მცხოვრებლებს, ვისაც თესლის დაბარება ჰსურსთ, შეუძლიანთ ამ ზემოხსენებულ ადრესით დაიბარონ. (5—5)

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 17 იანვარს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ გაზეთს „სტრანას“ გამოეცხადა პირველი „გაფრთხილება.“

„გოლოსში“ იწერებიან: ობუხოვის ქარხანას შეუკვეთა მთავრობამ 56 დიდი ზარბაზნისა და 600 პატარა ზარბაზნის ჩამოსხმა. ამავე გაზეთს აცნობებენ შავი ზღვის ნაპირა ნავსადგურ ქალაქებიდამ იალტიდამ და ქერჩიდამ, რომ 15 იანვარს აქეთკენ ზღვა საშინლად აღელვებული იყო და რამდენიმე პატარა ხომალდები გააფუჭა და ზღვაში გზაც შეიკრა.

**ლონდონი**, 17 იანვარს. გაზ. *Times*-ში დაბეჭდილია ათინიდამ (საბერძნეთიდამ) მიღებული შემდეგი დეპეშა: რამდენსამე პოლკს ბრძანება მოუვიდა, რომ ოსმალეთის სამზღვრისაკენ გაემგზავროს. რამდენიმე სხვა პოლკებიც მზათ არიან ლაშქარში წასასვლელად. ინგლისის მმართებლობას ამბავი მოუვიდა, რომ ოსმალოს სომხეთში დიდი არეულობა არის ხალხისა.

**ლონდონი**, 17 იანვარს. მინისტრმა გარტინგტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ინგლისის მთავრობამ იმიტომ გარდასწყვიტა, ყანდაარი არ დაისაკუთროს, რომ დარწმუნებული იყო, რუსები დაამარცხებდნენ თურქმენებს.

**პეტერბურღი**, 17 იანვარს. დღეს აქაურ სომხის ეკკლესიაში გარდაიხადეს პარაკლისი ახლად-მიცვალებულის გენ.-ლეიტ. ტერ-ღუკასოვისა. დიდძალი ხალხი დაესწრო; სხვათა შორის იყვნენ: გრაფი ლორის-მელიქოვი, თ. სვიატოპოლკ-მირსკი, გურჩინი, დემიანოვი და აივაზოვსკი.

**დურბანი**, 17 იანვარს. ინგლისის ჯარი იერიშით მიადგა ბოერების გამაგრებულ ადგილებს ლეინგნეკში, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ მტრისგან. ბოერებს დიდი ზარალი აქვთ; ინგლისელების მხრით მოკლულია: ერთი პოლკოვნიკი, ერთი მაიორი თა სამი პორუჩიკი; ამას გარდა რამდენიმე ოფიცერი დაჭრილია და 181 სალდათი მოკლული და დაჭრილი.

## ჩვენი ქალაქების რჩევა

ტფილისი, 19 იანვარს.

ორმა ქალაქის რჩევამ — ქუთაისისა და ახალციხისამ — ამ უკანასკნელ დროს თითქო ყაირათის გამოჩენა მოინდომა და შეუმოკლა ჯამაგირი თავიანთ ქალაქის თავებს.

მართალია, ამ ჟამად ყველა ჩვენებურ ქალაქების სრული შემოსავლის ფულიდამ თითქმის ერთ მესამედი ქალაქის გამგეობას და საზოგადოთ თვით-მმართველობის ხარჯს უნდება; მეორე მესამედიც პოლიციის ჯამაგირისათვის ჟანდარმების და სხვა ჯარების სახლების ქირისათვის იხარჯება; ასე რომ საკუთრივ ქალაქს თავის სხვა-და-სხვა ათას-გვარ საჭიროების დასაკმაყოფილებელად რჩება მხოლოთ ერთი მესამედი და ზოგს მეოთხედი თავის შემოსავლისა.

და ამ ფულით რა უნდა გააკეთოს თვით-მმართველობამ ქალაქისათვის? რა კეთილ-დღეობა და კეთილ-განწყობილება უნდა შესძინოს? რა სკოლები უნდა გამართოს? რომელი ერთი ქუჩა გაიყვანოს? როგორ გაამშვენიეროს ქალაქი?

თუმცა ეს ყველა ასეა და მართალია, მაგრამ, ჩვენის აზრით, ქუთაისისა და ახალციხის ქალაქის რჩევები, რომელთაც ყველაზე უმალ თავის გამგეობის წევრებს მიაგნეს და იმათ შეუმცირეს ჯამაგირები; მაინც ერთობ წინ-დაუხედავათ მოიქცნენ ამ შემთხვევაში. და აი მიზეზი:

ახლანდელ დროში იშვიათად იპოვით იმისთანა იდეალურ და თავგანწირულ კაცს, რომელმანც უსასყიდლოდ, დაუჯილდოებელად, უჯამაგიროდ მოინდომოს საზოგადოების სამსახური. და კიდეც რო მოიპოვებოდეს ამისთანა კაცები, უბედურება ეს არის, რომ ამ გვარი კაცები თითქმის ყოველთვის იმდენათ ღარიბები და უსაშუალონი არიან, რომ მუქთად შრომა, უსასყიდლოდ სამსახური და ულუკმა-პუროთ იმათი დატოვება ერთი იქნება.

შეიძლება აღმოჩნდეს იმისთანა პირი, რომელიც დაითანხმდეს მუქთად საზოგადოების სამსახურსაც; მაგრამ, ჩვენის აზრით, ამისთანა პირს თითქმის ყოველთვის უნდა ერიდებოდეს თვითონ საზოგადოება, რადგან იმას, თუ ჯამაგირი არ უნდა, უეჭველად ალბათ ერთი სხვა რამ მიზანი ექმნება, სხვა რამ ანგარიში, თუ ის მუქთად თანახმაა, ესთქვათ, ქალაქის თავის ან გამგეობის წევრის თანამდებობა იკისროს. და ეს სხვა რამ მიზანი და ანგარიში ხშირად უფრო დამაზარალებელი იქნება ქალაქისათვის, ვინემ ორასი და სამასი თუმნის ჯამაგირის მიცემა.

ამას გარდა, თუმცა, რასაკვირველია, კაცის ღირსება ჯამაგირით არ აიწონება, მაგრამ მეორეს მხრით ისიც მართალია, რომ ხშირად კარგ კაცს, პატიოსან მშრომელს და განათლებულ კაცს იაფ ჯამაგირით ვერ იშოვნის ქალაქი, ვერ მიიბირებს თავის-

---

## «დროების» ფელეტონი, 20 იანვარს.

### განთქმული თხზულება

გრენვილ მურრეისა

(ნათარგმნი)

მსაჯულს დევის რომ უარი არ ეთქვა და თავისი ქალი დოროტეი მიეთხოვებინა მაქს რეინეკესათვის, უეჭველია, ეს კაცი დღევანდლამდის მხიარულად და უდარდელად იცხოვრებდა. რასაკვირველია, ძრიელ წარჩინებული არ იქნებოდა და არც საქვეყნოთ განთქმული, მაგრამ არც ისე უბედური იქნებოდა, როგორც ეტყობოდა იმ სიტყვებიდამ, რომელიცა სთქვა სიკვდილის დროს ამ ექვსი კვირის წინეთ.

ბებერი დევი იყო სასამართლოს თავმჯდომარე ქოკლენბურღის დიდსამთავროში და ისეთი კარგი მდგომარეობა ჰქონდა, რომ შეეძლო ქალისთვისაც დიდი მზითევი მიეცა და სიძეც გზაზე დაეყენებინა და დაებინავებინა. იქნება თავის სიმდიდრის გამო და უფრო იმიტომ, რომ საზოგადოებაში სახელი ჰქონდა, არ აძლევდა თავის ქალს დოროტეის მაქს რეინეკეს, რომელსაც სილამაზის და მარდობის მეტი არა ებადა-რა.

დოროტეი მწარეთ ოხრავდა და ტიროდა მამის უგულობაზე. კარგად იცოდა, რომ ქოკლენბურღში სუყველა ქალებს გაგიჟებით მოსწონთ მაქსი. ან როგორ არ მოეწონებოდათ? იმას ისეთი ლურჯი თვალები ჰქონდა და ხუჭუჭი ქერა თმა; ისეთი კოხტათ იხურავდა სტუდენტურ ქუდს, ღიმილი ისე უხდებოდა და ისე ყოჩაღათ ხმარობდა ხმალს! ათიოდ ამხანაგს — სტუდენტს ეტყობოდათ სახეზე იმის ხმლის ტრიალი და ისეთი ღონიერი იყო, რომ ატმის კურკას თითებით გასტეხდა. რასაკვირველია, სუყველა ეს დიდი ღირსებაა ახალ-გაზდა ქალის თვალში; დოროტეიმ, შეიყვარა მაქსი და ის კი არ მოაგონდა, რომ ამას ჯიბეში ერთი გროშიც არა ჰქონდა.

ორივე ახალ-გაზდები დიდი უბედურები იყვნენ, რომ ამპარტავანი მსაჯული არ დათანხმდა ამათ ცოლქმრობაზე. დევიმ თავის ქალი გაგზავნა ბოვარიაში ძალუასთან რამდენიმე თვით. მაქს რეინეკი დარჩა ქოკლენბურღში და შეუდგა გულ-მოდგინეთ სხვა-და-სხვა მეცნიერების შესწავლას, რომ ამითი დაივიწყოს თავისი ნაღველი. მალე გახდა მათემატიკის მასწავლებელი ერთს სკოლაში და როცა თავისუფალ დროს ჩაიგდებდა, ხშირად დადიოდა ხოლმე ბიბლიოთეკაში, ბერცოლის სასახლეში, და რადგან ამ ბიბლიოთეკის უფროსი იმისი დიდი მეგობარი იყო, ნება ჰქონდა სუყოველთვის თავისუფლათ ეკითხნა აქაური ძვირფასი წიგნები.

საუბედუროთ, მაქსს სურვილი ჰქონდა სუყველაფერი ესწავლა და განსაკუთრებით კი ვერ შეიყვარა ვერც ერთი სამეცნიერო საგანი. კითხულობდა ბევრს, მაგრამ უთავბოლოდ, ხან ერთ საგანს მოჰკიდებდა ხელს, ხან მეორეს. უნდოდა მეცნიერი გამხდარიყო, მაგრამ რამდენსაც მეტს კითხულობდა, უფრო ნაკლებად გრძნობდა თავს მცოდნედ. რასაც დღეს შეიტყობდა, მეორე დღეს სულ ავიწყდებოდა; ისე რომ ცოტ-ცოტათი იმის ტვინი, ძალდატანებული უსისტემოდ ბევრ მუშაობით, მიეცა საოცარ ოცნებებს და აკარგვინებდა იმას ბევრ ისეთ დროს, რომელიც შეეძლო უფრო სასარგებლო საქმეზე მოეხმარა.

ამგვარად, საწყალ მაქსისთვის დრო რო გადიოდა უსარგებლოდ, უეცრად მოკვდა იმის მეგობარი ბიბლიოთეკის უფროსი, და რადგან მთავარმა შეიტყო, რომ ლამაზი მაქსი სულ მტვრიან ბიბლიოთეკის წიგნებში ატარებს თავის სიცოცხლეს, დანიშნა ის ბიბლიოთეკის უფროსათ.

ექვსის თვის შემდეგ სუყველა ქვეყნის მეცნიერები გაოცებული შეიქმნენ. ერთ ლეიპციგის გამოჩენილმა წიგნების გამომცემელმა დაბეჭდა უშველებელი თხზულება სამ წიგნათ, სახელათ: „ორღანიულის ბუნების ცვლილება.“ ყდაზე იყო გამოცხადებული დამწერის სახელი მაქს რეინეკესი და ახალ-გაზდა ყმაწვილი უცბათ გახდა მთელს ქვეყანაში განთქმული მეცნიერი.

კენ, რადგან ამ გვარი კაცი სხვა უწყებაშიაც, სხვა სამსახურშიც ადვილად იშოვნის კარგ ლუკმა-პურსა.

ჩვენი ამ მოსაზრებით, ჩვენ გვგონია, ქუთაისისა და ახალციხის ქალაქის რჩევა უკეთესს იზამდა, რომ პირ-და-პირ თავიანთ გამგეობის წევრების ჯამაგირების შემცირებას არ მიეარდოდნენ და თუ გასავლის შემცირება უნდოდათ, სხვა რამე ღონის-ძიება მოენახათ ამ გასავლის შემცირებისა და შემოსავლის მომატებისათვის.

ერთი ამგვარ ღონის-ძიებათაგანი, ჩვენის აზრით, არის — შუამდგომლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ პოლიციის შესანახავად და ადგილობრივ ჯარების სახლის ქირის გარდასახადი შეემცირებინა ხაზინას. მთავრობა მიიღებდა მხედველობაში ამ ქალაქების შემოსავლის სიმცირეს და ადვილად შეიძლებოდა, რომ ამ შუამდგომლობაზე დათანხმებულიყო. და ეს ერთი-ორად უფრო მოუმატებდა იმათ შემოსავალს, ერთი-ორად უფრო შეუმცირებდა გასავალს, ვინემ გამგეობის წევრების ჯამაგირების დაკლება.

## ახალი ამბები

—

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

ამბობენ, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის ღენერალ-ღუბერნატორად დანიშნული იქნება ახლანდელი ატამანი ყუბანის ყაზახის ჯარისა ღენ.-ლეიტ. კარმალინი; კავკასიის იქითა მხრის ღენერალ-ღუბერნატორად კი დაინიშნება თერგის მაზრის უფროსი ღენ.-ლეიტ. სვისტუნოვი.

* * *

კიევის ერთს გაზეთში დაბეჭდილია მეორე საინტერესო ამბავი, რომელიც აგრეთვე ჩვენს ქვეყანასაც შეეხება:

„ჩვენ გავიგონეთ, რომ რუსეთის სხვა-და-სხვა მაზრების სამასწავლებლო მზრუნველთა კრებაზედ, რომელიც მომავალ თებერვალში მოხდება პეტერბურღში, სხვათა შორის იმაზედაც იქნება სჯა, რომ სასულიერო სემინარიებში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცებს იგივე უფლება მიანიჭონ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის შესახებ, რაც კლასსიკურ გიმნაზიებში კურს-დასრულებულებსა აქვსთ.

„თუ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და გრაფ ტოლსტოის განკარგულება მოისპო, ამ შემთხვევაში ათასს ყმაწვილ-კაცს საშუალება მიეცემა უმაღლესის სწავლის მიღებისა და ეს ყველასთვის სანატრელი და სასიამოვნო მოვლენა იქნება“.

* * *

თ. ნ. დიასამიძისა და ივ. მაჩაბლის საქმის გარჩევა მედიატორებისაგან დანიშნულია ამ თვის 25-ს, კვირას, დილის 12 საათზე. თ. კ. ა. ბებუთოვის მაგივრად, ერთ მედიატორეთაგანად დანიშნულია პატ. ივ. ეგნ.-ძე პოლტორაცკი.

* * *

გუშინ შეიდი ფოჩტა რუსეთისა და სამზღვარ გარეთის ერთად მოვიდა თფილისში.

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის ერთმა კორრესპონდენციამ (იხ. „დროება“ № 229), ბატ. ცაგარლის დისსერტაციის თაობაზე დაწერილმა, „დროების“ ზოგიერთი მკითხველთაგანი შეცდომაში შეიყვანა, ვითომც ბ. ცაგარელმა ულირსად მიიღო დოქტორის ხარისხი. იმ კორრესპონდენციაში სწერია:

„ბ. ცაგარლისაგან წარდგენილი თხზულება, ანუ უკეთა' ვსთქვათ, იმისგან შეკრებილი სამეგრელოში სამასი (?) მეგრული სიტყვა და რამდენიმე მეგრული ლექსი სრულებით არ იყო ღირსი მსწავლულ თხზულებებში გარევისა და **იმისთვის ხარისხის მიღებისა**“... „...ამ წიგნით კაცი ვერაფერს ისწავლის, ვერაფერში გამოიყენებს, **რადგან მეგრული ენის წესები** სრულიად არ არის გამოყვანილი და გამოკვლეული.“

ეს დაფასება საკუთრად ბ. კორრესპონდენტს რომ ეკუთვნოდეს, ე. ი. ის რომ ცაგარლის შრომის შესწავლის ნაყოფი იყვეს, მაშინ მის გასამტყუნებლად ბ. ცაგარლის შრომის შესწავლა იქნებოდა საჭირო; მაგრამ ბ. კორრესპონდენტი პირ-და-პირ ბრძანებს, რომ ცაგარლის შრომა არამეცნიერულად და ყოვლად გამოუსადეგრად **დისსერტაციის დაცვის დროს აღმოჩნდაო**. საქმეც ეგ არის, რომ სწორეთ დისსერტაციის დაცვის დროს ბ. კორრესპონდენ. გამოყვანილი აზრი არავის არ დაუმტკიცებია.

ჩემი აზრის დასამტკიცებლად მე მოკლედ მოვიყვან დისსერტაციის დაცვის გარემოებას.

ბ. ცაგარელმა დისსერტაციისთვის წარადგინა „მეგრული ეტიუდების“ მარტო ორი ნაწილი. პირველი ნაწილი შესდგება მისგანვე შეკრებილ მეგრულ ზღაპრებიდგან, ანდაზებიდგან, ნათქვამებიდგან, გამოცანებიდგან და სხვ. ამავე ნაწილში ამაების უმეტესი ნაწილის რუსული თარგმანიც არის. მეორე ნაწილს კი შეადგენს მეგრული ენის ასოების გამოკვლევა ანუ მეგ. ენის ფონეტიკა. ეს მეორე ნაწილი პირველთან იმ დამოკიდებულებაშია, რომ პირველის დაკვირვებისა და შესწავლის ნაყოფს შეადგენს.

დისსერტაციის დაცვის დროს ოპპონენტებმა — ბ. კოსსოვიჩმა (სანსკრიტული ენის პროფესორმა) — და ბ. პატკანიანცმა (სომხური ენის პროფესორმა) თუმცა ცალკ-ცალკე, მაგრამ თანახმად განუცხადეს ბ. ცაგარელს:

თუმცა შრომაც დიდი მიგვიღიათ თავის-თავზეო, ენათ-მეცნიერებისთვისაც გამოსადეგი და ქართული ენის გამოსაკვლევადაც საჭირო შრომა დაგიწერიათ და შემდეგშიაც დიდი იმედი გვაქვს თქვენიო (ეს უკანასკნელი აზრი მარტო ბ. კოსსოვიჩმა სთქვა), მაგრამ ჩვენ მეგრულ ენის უცოდინარეობისა გამო, პირველ ნაწილით ვერ ვისარგებლეთო და ამისგამო მეორე ნაწილიც ვერ დავაფასეთ რიგიანადო.

ამაზე ცაგარლის პასუხი იყო: რაც გამეწყობოდა ვეცადეო, რომ ჩემი შრომა ყველასთვის გასაგები ყოფილიყოო და რაც არ შეიძლება, იმაშიც არა მე ვარ დამნაშავეო. ამაზე ოპპონენტებმა სხვა პასუხი მიუგეს.

ბ. კოსსოვიჩმა: თქვენ შეგეძლოთ გაგერჩიათ, მაგალითად, შემდეგი საზოგადო კითხვა: ენების რომელ ოჯახობას ეკუთვნის ქართული ენა? (ე. ი. ინდო-ევროპიულს, სემიტურს, არაბულს, თუ ყველასგან გაცალკევებულია).

ბ. ცაგარელი. მე დიდიხანია დავრწმუნდი, რომ თითონ მაგ კითხვის გარდასაწყვეტლად საჭიროა მეგრულის, სვანურის და ჭანურის ენების ქართულთან შედარებით შესწავლა. ახლავე, პირ-და-პირ მაგ საზოგადო კითხვის გარდაწყვეტას რომ შევდგომოდი, ეს იმას ემგვანებოდა, რომ კაცმა სახლის შენება სახურავიდგან დაიწყოს და სხვ.

ბ. პატკანიანცმა მოინდომა დაემტკიცებინა, რომ ბ. ცაგარელს ეს შრომა არ უნდა წარმოედგინა დოქტორის ხარისხის მისაღებად, რადგან კარგად იცოდა, რომ ჩვენ, მაგის ამ-

---

რა დაემართა მაქსს? როგორ გახდა უეცრად გენიოსად, რაკი ბიბლიოთეკა ჩაიბარეს? იქნება მოულოდნელად მოუგროვდა დაფანტული ჭკუა, ან იგრძნო ღონე ენერგიულ შრომისათვის? სულაც არა. იმან იპოვა ერთს მივარდნილს, მივიწყებულს თაროზე როცა ჩვეულებრივ ურევდა ბიბლიოთეკაში წიგნებს, ერთი რვეული დაწერილი ორმოც-და-ათის წლის წინეთ. არც დამწერის სახელი სჩანდა და არც ბიბლიოთეკის სიაში იყო მოხსენებული ეს წიგნი; მეტკლის ყდაში გაკეთებული და დაბეჭდილი: ზემოდამ ისე სქლათ ედო მტვერი, რომ ეტყობოდა, მას აქეთ რაც იქ შეენახათ, ხელი არავის არ მოეკიდნა. როგორ მოხდარა, რომ ამისთანა ძვირფასი თხზულება ამოდენა ხანი უსარგებლოდ შენახული ყოფილა.

მაქსი უხსნიდა თავის თავს ამ უცნაურ შემთხვევას იმითი, რომ ამის დამწერი ყოფილა მეცნიერი, რომელსაც არეულობაში, ნაპოლეონთან ომის დროს, თავისი ხელთ-ნაწერი შეუნახავს უშიშო ალაგას მთავრის ბიბლიოთეკაში იმ იმედით, რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდება და მაშინ დაიბეჭდვინებს; მერე უეცრად მომკვდარა და დიდი ხნის შრომა ვერავისთვის ვერ უანდერძებია. ის კი ნამდვილი იყო, რომ ეს თხზულება და იმაში განმარტებული საოცარი ჰაზრები ჯერ უცნობი იყო მეცნიერთათვის. ვინც უნდა ყოფილიყო უცნობი დამწერი, ამან ნახევარ საუკუნით წინ წაასწრო თავის თანა-მედროვებს.

მაქსი ისეც უსწავლელი არ იყო, რომ არ გაეგო ამ წიგნის ფასი, და რაკ. ერთხელ მოისურვა ნაპოვნი ნივთი მოეხმარა, ისე მოხერხებით წაიყვანა თავისი საქმე, რომ ნამცეცი ეჭვიც არავინ არ აიღო: გადა' წერა მთელი თხზულება და ხელთ-ნაწერი დახია, შეასწორა ზოგიერთი ფრაზები, ამოშალა სუყველა ძველებური სიტყვები და ის სამეცნიერო სახელები, რომელსაც აღარ ხმარობდნენ. ამასთანავე უამბო თავის მეგობრებსაც, რომ დიდი ხანია სწერს დიდ სამეცნიერო თხზულებას ორღანიულ ბუნების ცვლილებაზე; ამის გამო ახლო მცნობებს სულაც არ გაუკვირდათ, როცა იმისი თხზულება დაიბეჭდა.

მაქსის ცბიერებამ კარგად გასჭრა, თუმცა კუკლენბურღის მცხოვრებლები არ მოელოდნენ, რომ იმათ ქალაქში ამ ნაირი გენიოსი იმყოფებოდა. ახალგაზდა ოც-და-შვიდი წლის მაქსი მთელმა ქვეყანამ გენიოსათ იცნო, მთავარმა დააჯილდოვა ბიბლიოთეკის უფროსი ნიშნათ, რომ აფასებს თავის ქვეშევრდომის განთქმულ სახელს და როცა სუყველა მხრიდამ ეძლეოდა ვარსკვლავები და ჯვრები, მაშინ მთავარმა ბარონობაც უბოძა. არ დარჩა ისეთი სამეცნიერო საზოგადოება, რომ მაქსი წევრათ არ ამოერჩიათ და რადგან ბევრნი იყვნენ ამ თხზულების მთხოვნელები და ვერც კი ასწრობდნენ დაბეჭდვას, ამის გამო დიდი ფულიც მოიგო.

მაქსისთვის ძვირფასი იყო სუყველა ვარსკვლავებზე, ჯვრებზე და ფულზე იმის საყვარელი დოროტეი. ეხლა ბებერი დეეი ბედნიერად სთვლიდა თავის თავს, რომ შეუძლიან დაუახლოვდეს იმ კაცს, რომელიც ერთიათათ იმაზე მაღლათა სდგას საზოგადოებაში და თითქმის პირველი ეახლა ახალ ბარონს, რომ მიულოცოს მთავრის წყალობა და დაარწმუნა, რომ იმისაგან წინათვე მოელოდა ჩინებულ მომავალს.

დიდი ამბით ჯვარი გადასწერეს მაქსს და დოროტეის მთავრის სასახლეში. ამის შემდეგ ერთ გერმანიელ მეფემ ახალგაზდა ბარონი გახადა თავის სახელმწიფოში დირექტორათ სამეცნიერო აკადემიისა. ამ მიზეზით მაქსმა თავის ცოლით დასტოვეს კუკლენბურღი. სამ-ოთხ თვის განმავლობაში მაქ ისთანა ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არავინ არ იყო.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანაგებმა, არც ერთმა, არამც თუ მეგრული, ქართულიც არ ვიცოდით და სხვა და სხვ. ბოლოს პატკანიანცმა თავისი გრძელი სიტყვა ამით გაათავა: „თქვენ უნდა დაგეწერათ რამე ქართული ისტორიიდგან ან საზოგადოდ ქართულ ლიტერატურაზე, მაშინ ჩვენც კარგად გავიგებდით (?) და მაყურებელ პუბლიკასაც ინტერესი ექნებოდათ."

თქვენმა მზემ, კარგი რეცეპტია! კაცს თავის მოქმედების მიზნად აუღია ქართული ენის მეცნიერულად გამოკვლევა; ამისთვის უუსაჭიროესად დაუნახავს გამოიკვლიოს ქართულთან შედარებით მეგრული, სვანური და ჭანური ენები; მიუყვია ხელი ამ მძიმე შრომისათვის და პირველი ნაბიჯიც გარდაუდგამს და ამ დროს ეუბნებიან: რადგან ჩვენ არ ვიცით და საზოგადოებასაც არ ეინტერესება რაღაც მეგრული ენაო, ამიტომ ლიტერატურაზე უნდა დაგეწერაო და სხვა. ისე ლაპარაკობენ თითქო მართალნი იყვნენ! დისსერტანტმა ჯერ ოპპონენტები უნდა გაიცნოს?! თითქო დისსერტაციები მარტო ოპპონენტებისათვის და თუნდაც დამსწრე საზოგადოებისათვის იწერებოდეს!

ზემო-მოყვანილ სიტყვების შემდეგ ბ. პატკანიანცმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ მე თქვენი თხზულების დამფასებელი არა ვარო, მაგრამ მოვალეობა მაძევს რაც შემიმჩნევია, ის მაინც გაჩვენოთო, და ჩამოთვალა ის ყველასთვის შესამჩნევი და სიჩქარით მოსული შეცდომები, რომლებსაც ბ. „დროებით პეტერბურღელი" „ნება-უნებლიეთებს" (?) ეძახის. ბოლოს ბ. პატ—ცმა ბოდიში მოიხადა, რომ ერთობ წვრილმანებს გამოუდგა; მაგრამ უამისობაც არ შემეძლოო, სთქვა, რადგან თქვენ პირველი ხართ, რომელიც ქართული სიტყვების დოქტორობის ხარისხს იღებთო.

დარწმუნებული ვარ, რომ ოპპონენტებს ქართული და მეგრული ენები სცოდნოდათ, ცაგარელის შრომა ამით არამც თუ წააგებდა, არამედ მოიგებდა კიდეც, რადგან მაშინ ეს ოპპონენტები შრომის კარგ მხარეს უფრო ადვილად დაინახავდნენ და იმ წვრილმან „ნება-უნებლიეთ" შეცდომებს შეცდომებს აღარ გამოეკიდებოდნენ. ამით ისინი ბევრს იხსნიდნენ (სხვათა შორის ბ. კორრესპონდენტსაც) იმ შეცდომისაგან, ვითომც ბ. ცაგარელის შრომა არაფრისთვის გამოსადეგი არ იყვეს. ბ. პატკანიანცმა შეცდომები რომ მოიყვანა, იმათ თითონვე სიჩქარით მოხდენილი შეცდომები დაარქვა.

ნუ თუ ეგ არის ის „წკეპლები." რომლებისაც ისე უნდა შინებოდა ბ. ცაგარელს, რომ თავისი შრომა არსად უნდა გამოეჩინა?! ეგებ ბ. კორრესპონდენტს ჰგონია, რომ ბ. ცაგარელი ან შეებრალათ, ან მისი შეეშინდათ, რომ მაღალი ხარისხი მიანიჭეს?! ცხადია, რომ რაღაც შეცდომები სრულიად არ კმაროდა ოპპონენტებისათვის, რომ ცაგ—ლის შრომა არა მეცნიერულად და გამოუსადეგარათ ეცნოთ.

ბ. ცაგარელმა მიიღო დოქტორობის ხარისხი, მაგრამ ამით მას ცაზე ვარსკვლავები კი არ მოუკრეფია; მას მიზანი ჯერ კიდევ წინ უდევს. ის ახლა ადგენს მეგრული ენის მორფოლოგიას (ფორმების სწავლა) და ლექსიკონს და რამოდენადაც გამიგია—არც მერმე დასჭირდება სხვების რეცეპტები, რადგან თითონ გვარიანად აღუნიშნავს თავის მეცნიერებითი მოქმედების გზა.

დ—ტი ივერიელი.

პეტერბურღი, 4 იანვარს.

---

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** პარიჟი. („დროების" კორრესპონდენცია). აქ გარდაიცვალა გამოჩენილი ამ საუკუნის რევოლიუციონერი ოგიუსტ ბლანკი.

მხოლოდ საფრანგეთის და განსაკუთრებით იმის დედა-ქალაქის—პარიჟის საზოგადო და პოლიტიკურ ცხოვრებას შეუძლია ამისთანა კაცები მოუვლინონ კაცობრიობის ისტორიას. ბლანკის სიცოცხლე წარმოგვიდგენს მუდმივი ბრძოლას იდეისათვის. ამ კაცმა გაცვალა თვისი კეთილ-დღეობა, პირადი და ოჯახეული ბედნიერება ხალხის სიყვარულში, იმისთანა სიცოცხლეში, რომელიც სამის სიტყვით გამოითქმის: წვალება, საპყრობილე, სიკვდილი.

ეა იყო თავ-განწირული დემაგოგი; ამის სურვილი იყო: მიანიჭოს ხალხს იმისთანა ცხოვრება, როგორიც მინიჭებული აქვს მაღალ კლასს, შეძლებულებს.

ბლანკი დაიბადა ქ. ნიცაში. ამის ასპარესზედ გამოსვლა იწყება 1830 წელს რევოლიუციის დროს, როდესაც ბლანკი 27-ს ივლისს იბრძვის ბარიკადაზედ.

ამ დროიდგან ბლანკს ვხედავთ ან საპყრობილეში, ან შეუპოვრად და დაუღალავად მებრძოლს თავისი მიზნის მისაღწევად.

როდესაც 1848 წელს (თებერვლის) რევოლიუცია მოხდა, ბლანკი საპყრობილეში იმყოფებოდა, რომლიდგანაც ხალხმა განათავისუფლა. თვისი იდეასათვის ბლანკის სამჯერ სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს; მაგრამ სამივე ჯერ გადარჩა.

საფრანგეთსა და პრუსიას შუა რომ ომი ატყდა, ბლანკი ამ დროს სცემდა გაზეთს „*La patrie en denger*" („სამშობლო გაჭირვებაშია"). ამ გაზეთში ეს ჰკიცხავდა მმართებლობის მოქმედებას და საშინელის სურათით ხატავდა მაშინდელ იმპერიის მდგომარეობას. ის იყო უმთავრესი წამქეზებელი 31 ოკტომბრის აჯანყებისა, რომლისთვინაც მესამე ჯერ გარდაუწყვიტეს სიკვდილი. ამ დროს იმან რამოდენიმე დღით მიატოვა პარიჟი.

კომუნის დაარსებისათანავე ის გამოირჩიეს კომუნის წევრად.

მესამე რესპუბლიკას პრეზიდენტმა ტიერმა, კომუნის დამარცხების შემდეგ, დააჭერინა ბლანკი და გაგზავნა ვერსალში. აქ სამხედრო სასამართლომ შეუმსუბუქა ბლანკის სიკვდილით დასჯა და მაგიერად ციხეში ჩასვეს. საყოველთაო კომმუნარების ამნისტიის წყალობით (1872 წ.) ბლანკიც განთავისუფლდა. შემდეგის ბორდოში გამოირჩიეს დეპუტატად.

ამ უკანასკნელ დროს ბლანკიმ დაარსა მეოც-და-თერამეტე გაზეთი, რომელსაც სახელად თავისი დევიზი უწოდა. „*Ni dieux ni maître*" („არც ღმერთი არც ბატონი").

ბლანკის განსვენებაზედ დაესწრო, თითქმის ორასი ათასი ხალხი. მცხედარს მოჰყვებოდა რაზმ-რაზმათ დაწყობილი ხალხი, რომელიც შედგებოდა სხვა-და-სხვა ქალაქების დელეგაციებიდგან. ამათ წითელ დროშაზედ წაიკითხავდით სხვათა შორის შემდეგ სიტყვებს: „თავისუფლება, თანასწორობა, ერთობა", ან რომელიმე პარტიის სახელს: „კომიტეტი სოციალ-რევოლიუციონერებისა მეცამეტე მაზრისა" და სხვ.

დამარხვაზე დაესწრნენ უმთავრესი კომუნარების და სოციალისტების წარმომადგენელნი, როგორც როშფორი ლუი ბლანი, ლუიზა მიშელ და სხვანი.

ორი საათის გზის შემდეგ მივიდენ პერლაშეზის სასაფლაოზედ და დადგეს კუბო თუ არა, დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა. პირველად სთქვა სიტყვა ეუდმა, რომელიც ძრიელ მახლობელი მეგობარი იყო ბლანკისა. მერმე—რომმა, ბორდოს დეპუტატმა ლეპელლეტიერმა, ლიონელ დეპუტატმა, ლუიზა მიშელმა, როშფორმა და სხვ.

უმთავრესი აზრი ამ სიტყვების იყო ის, რომ ბლანკს ადიდებდნენ, როგორც დიდებულ რევოლიუციონერს, წვალებულს იდეისთვის, ადიდებდნენ მისს პატიოსნებას, თავ-განწირულობას და სხვ. ამასთან შეუერთდებოდა ის აზრი, რომ გარდაავდონ ბურჟუაზიული მმართებლობა და დაარსონ დემოკრატიული რესპუბლიკა. აი მაგალითად რას ამბობს ლუიზა მიშელი:

„დავიფიცოთ ამ პერ-ლაშეზზედ, სადაც ასვენია ამდენი მსხვერპლები, რაულ რიგოს და ფერრეს ჩრდილის წინო, დავიფიცოთ, რომ გამოვგლეჯთ საფრანგეთს ბურჟუებს ხელიდამ!"

ან კიდევ აგერ მეორე ორატორის სიტყვა:

„ძმებო, ბლანკი მოკვდა, მაგრამ ჩვენ დავრჩით და მისი დაწყებული საქმე ჩვენ უნდა გავათაოთ. მისი აზრი იყო, — ხალხს მიენიჭოს უზენაესობა, ხალხი თვითონ მართვიდეს თავის საქმეს; ამისთვის, არ უნდა იყოს არც ექსპლოატაცია, არც ექსპლოატატორი, არც ბრძანებლობა, არც ბრძანებული ბატონი!"

ადვილად წარმოიდგენს მკითხველი—როგორ აღტაცებაში მოიყვანდა პარიჟის მუშა-ხალხს ამისთანა სიტყვები. ათასი ხმის გაძახილი ისმოდა: „გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას!"

როგორც საყოველთაოს ამ გვარ შემთხვევაში, ეხლაც მოელოდა მართებლობა ხალხის არეულობას, ამისთვისაც ფიცხელი განკარგულება ჰქონდა მიცემული პოლიციის პრეფექტს ანდრიეს, რომ ჯარი მზათ იყოსო; მაგრამ ყველაფერი მშვიდობით გათავდა.

ბებუთელი.

პარიჟი, 1 (13) იანვარს.

---

სენატმა 170 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 7-სა, ხელ-ახლავ ამოირჩია პრეზიდენტად ლეონ სე. დეპუტატთა პალატამაც ამოირჩია თავის პრეზიდენტათ გამბეტა. 376 დეპუტატებისაგან, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა არჩევანში, 262-მა მისცა ხმა გამბეტას სასარგებლოდ.

გუშინ გამბეტამ წარმოსთქვა სიტყვა ღვინის ვაჭრების ამქრების ბანკეთში. გამბეტამ დაიწყო მით, რომ არ გაუშვებს შემთხვევას მოელაპარაკოს ესპანიის წარმომადგენელს ღვინის ბაჟის თაობაზედ. ვაჭრობა და შრომა თხოულობენ სრულ თავისუფლებას მწერლობისას. ორატორმა მოახსენა კრებას, რომ ვაჭრობის კანონები ჩვენში ერთობ სასტიკიაო და უნდა შემსუბუქდესო. სოციალური მოთხოვნილება შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ სწავლისა და ჯაფის დახმარებითაო.

ფრანცუზებს უნდათ პოლიტიკა ბჯითი და პროგრესიული, წინააღმდეგ იმ პირთა, რომელნიც ყვირიან, და ვერ შეუჩერებიათ თავიანთი თავი დაჰფარონ უსიამოვნობა, მისთვის რომ ხალხი უარს ამბობს გაჰყვეს მათ. მაშ შევადგინოთ დემოკრატიული მმართებლობა უფრო ნაყოფიური და უფრო ძლიერი ვიდრე რომელიმე დინასტია. იმ ხალხს, რომელიც გამოცდილია ყოველ სიმწარეში და უბედურებაში, შეუძლია განარჩიოს კეთილ-მოქმედება და უბრალო სიტყვები. 4 დეკემბრიდამ დემოკრატიამ თავის მოქმედებით დაამტკიცა, რომ მან არ უნდა დარჩეს ანარხისტებად.

ამ წლის სხვა-და-სხვა აღრჩევანები გვაშინებდა ჩვენ, რადგანაც სხვა-და-სხვა ხმები იყო დაყრილი. მაგრამ მუნიციპალური აღრჩევები გათავდა და გვიჩვენებს, რომ ეს წელი მშვიდობიანად გაივლის. შესახებ სენატის და პალატის მომავალ კენჭის-ყრისა, გამბეტამ სთქვა, რომ ეს აღრჩევები იქნება აღტაცება დემოკრატებისა, რესპუბლიკისა და სამშობლოისათვის. თავისი სიტყვა გამბეტამ გაათავა მუნიციპალური რჩევების, დეპუტატების და ყველა ჟურნალ-გაზეთების სადღეგრძელოით. (ხან-გრძლივი ტაშის-კვრა).

—

**საბერძნეთი.** ათინას გარდა, ყველგან დარწმუნებული არიან, რომ თუ ეინიცობაა ომი ატყდა ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა, დამარცხებული,

უეჭველად საბერძნეთი დარჩება. საფრანგეთის მინისტრი ბარტელემი სენტ-ილერი ამბობს, სხვათა შორის: უეჭველია, ეს ომი აღმოსავლეთ რუმელიასაც გაბედვინებს, რომ აჯანყდეს ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ ამაშიაც დარწმუნებული არიან, რომ ოსმალები ამასაც მალე დააშოშმანებენ. მხოლოდ ეს კია, შეიძლება რუსეთი ისევ გამოესარჩლოს ამ საქმეში და გაუწიოს ხელი თავის მოძმე-ბოლგარიის ხალხს. მაგრამ ეს უბრალო შიშია, რადგან რუსეთს თავის შინაგანი საქმეებიც ბლომად აქვს, და ადვილი შესაძლებელია ბოლგარიას უთხრას, რომ, თუ მას ნებავს, ომიც აუტეხოს ოსმალეთს, მაგრამ მისი (რუსეთის) იმედი კი ნუ ექნება. რუსეთი ჩრდილოეთ ბოლგარიითაც დაკმაყოფილებულია, სამხრეთ ბოლგარიას კი ანუ ესრედ წოდებულ აღმოსავლეთ რუმელიას, როგორც ენებოს, ისე მოიქმედოს და თუნდ ის ოსმალეთის ქვეშევრდომად დარჩეს, რუსეთი იმას არ დაეძებს. ერთის სიტყვით, თუ რომ ბერძნები ეხლა შეიკავებენ თავს და იქონიებენ სულგრძელობას, მომავალში, რამოდენიმე წელს შემდეგ, სხვა და სხვა შემთხვევებით, ისინი შეიძენენ მას, რაც ეხლა სურთ შეიძინონ ძალით და რასაც ვერ შეიძენენ."

—

**ოსმალეთი.** საერთო რჩევის პროგრამმაზედ სტამბოლში კიდევ არის მიწერ-მოწერა სახელმწიფოებთ შორის. ამ პროგრამმის სისრულეში მოყვანას შეუდგებიან, როდესაც დაბრუნდება სტამბოლში გერმანიის ელჩი გრაფი ჰაცფელდი. მიუხედავათ ამისა, აქ შიშობენ, რომ ბერძნები უეცრად არ დაეცნენ ეპირს და მით არ მოშალონ ის მოსაზრება, რომელიც აქვთ ელჩების შეერთებულ რჩევას.

მმართებლობა ძრიელ შეშინებულია იმ ცნობებით, რომ ალბანიელების ლიგას განზრახვა აქვსო ისარგებლონ პირველი შეტაკებით ოსმალეთისა და საბერძნეთს შუა, რომ გამოაცხადონ ალბანიის ავტონომია.

# განცხადებანი

—

არწრუნის თეატრში

ოთხშაბათს, 21 იანვარს

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

## ქ. ზ. მაჩაბლისა

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

## ადვოკატები

კომედ. 3 მოქმედ. თ. რ. ერისთავისა.

II

## ვინ იყო?

ვოდევილი ერთ მოქმედებათ.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

---

ადვოკატი ევგენი დიმიტრის ძე

ტიხამიროვი

იცავს ყოველ-გვარ საქმეებს სასამართლოებში; აგრეთვე ადგენს ყოველ-გვარ საქმის ქაღალდებს, არზებს და აძლევს რჩევას.

შინ მიიღებს დილის 8 საათიდამ 11-მდინ და საღამოს 6-დამ 8-მდინ. დგას „პარიჟის" სასტუმროში, № 3, გოლოვინის პროსპექტი. (3—2)

---

## შ ე ნ ი შ ნ ვ ა

**რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.**

**თმის გასამაგრებელი**

**მაკ - მასტერი**

**ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.**

(100—94)

---

უმთავრესი კანტორა

# რქასიაგოუმოვი და ამხან.

სავაჭრო სახლი

21 რიცხვს ამა იანვრის თვისა, ე. ი. ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე დანიშნულია პირველი **წლიური კრება** ამ ფირმის ზედამხედველ კომიტეტისა, რათა მოისმინოს ანგარიში წარსული წლის ოპერაციაზედ, მოგების განაწილებაზედ და მიმავალ წლის სმეტის დასამტკიცებლად. ამის გამო უმორჩილესად სთხოვს ყველა კომიტეტის წევრებს და ამხანაგობის დამაფუძნებელთ, რომელნიც არ ირიცხებიან კომიტეტში, მობრძანდნენ დანიშნულს დროზედ უმთავრესს კანტორაში.

მეორე ხარისხის პაისჩიკები ამ ამხანაგობისა, რომელთაც ჰსურთ დაესწრონ ამ კრებაზერ, ვალდებულნი არიან, §§ 11, 12, 13 და 14 ზედამხედველ კომიტეტისაგან დადგენილ წესდების ძალით, შესახებ სხდომებისა, განუცხადონ თავიანთი სურვილი ფირმის უფროსს და მიიღონ მისგანვე ბილეთი ზალაში შესასვლელი.

2—2

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამ-შვენი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—30)

---

„**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება**" ვალად რაცხს მოაგონოს იმ პირთა, რომელთაც უკანონიათ საზოგადოებისგან გამოცხადებული სახელოძღვანელოების შედგენა, პრემიის მიღებისათვის, რომ მათგან შედგენილი წიგნების წარმოდგენის ვადა არის ამ წლის პირველი თებერვალი.

ადრესი საზოგადოებისა: **Тифлисъ, Саперная, 41.**

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაეები, კამფეთები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მინამ სადმე სხვაგან — **ინგლისურ მაღაზიაში არწრუნის** გალერეიაში.

12—12

---

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად** — წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—5)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიდნებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხოლ ვებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გემრიელი გლეშხევისი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად განსვეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—8)

---

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. უველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—11)

---

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოლნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჰიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შილოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—20)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მანინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი [illegible] უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ფაშრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—8

---

პატენტიანი შროტები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში. (100—80)

---

# შემთხვევით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფოლნოსი და გასალებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუჟინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 20—19

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შედარებით ნვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— ,,

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— ,, — —3— ,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—81)

Дозволено цензурою. Тифлисъ 19 Января 1881 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი